

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული  
ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიება „ტბელ  
აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში,  
კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში 10 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტის გამოვლენა ხდება კონკურსის წესით.

3. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში - სამსახური).

4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საზღვარგარეთ - ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდეგში - უმაღლესი სასწავლებელი), აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეს/სტუდენტს, რომელიც საზღვარგარეთ მიმღებ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის, ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, 2021 - 2022 სასწავლო წლის მიხედვით, მიღებული აქვს ამ დებულებით განსაზღვრული დადებითი (კარგი/მაღალი/ძალიან კარგი/უმაღლესი/ფრიადი...) შეფასება (GPA):

- პრიორიტეტულ მიმართულებებზე: GPA – B / კარგი/მაღალი და მეტი / 2.7 – 4.0 ქულა;
- სხვა დანარჩენ მიმართულებებზე: GPA – A / ძალიან კარგი/უმაღლესი / 3.3 – 4.0 ქულა.

5. ამ დებულებით, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების შეფასების (GPA) ერთიან შკალად/განზომილებად გამოიყენება - 4.0 სკალა/სტანდარტი, მაგრამ თუ რომელიმე კონკურსანტის აკადემიური მოსწრების ქულა, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ, გამოთვლილია განსხვავებული შეფასების სკალის მიხედვით (მაგალითად: 3; 8; 30; 100/ან სხვა), მაშინ პირველ რიგში, მოხდება, ამ კონკურსანტის აკადემიური მოსწრების ქულის გამოთანაბრება ერთიან სკალასთან - 4.0 მიმართებაში (იხ. მუხლი 9. პუნქტი 2). ასევე, დაშვებულია, განაცხადის შემოტანამდე, განხორციელდეს დეტალების დაზუსტება (საკონტაქტო: (0 422) 24 82 94; ელფოსტა: info@Batumi.ge).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ტბელ აბუსერიძე (XIII ს.) - მრავალმხრივ განვითარებული მეცნიერი და ასტრონომი (1233 წელს შეადგინა კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი, რომელიც ინახება

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) ღვთისმეტყველი და ჰიმნოგრაფი პროზაიკოსი, ლიტერატორი და მუსიკათმცოდნე.

2. **სტუდენტი** - ამ შემთხვევაში პირი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

3. **GPA (Grade Point Average / საშუალო შეწონილი ქულა)** - ამ შემთხვევაში, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ, სტუდენტის განვლილ საგნებში მიღებული შეფასებები და აკადემიური მოსწრების წლიური/საბოლოო მაჩვენებელი/ქულა.

4. **სპეციალობა** - ამ შემთხვევაში, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი სპეციალობა (მირითადი ან/და დამატებითი სპეციალობა).

5. **კვალიფიკაცია** - ამ შემთხვევაში, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ბაკალავრი, მაგისტრი...)

### **მუხლი 3. კონკურსის მიზანი**

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, სტუდენტის სტიმულირება, წახალისება, მოტივაციის ამაღლება, შემდგომი აკადემიური განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

### **მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა**

აკადემიური მოსწრების საუკეთესო შედეგის მქონე 10 სტიპენდიატი 2021 - 2022 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით, მიიღებს ტბელ აზუსერიძის სახელობის სტიპენდიას - 3 000 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით).

### **მუხლი 5. დოკუმენტაცია**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია), ყოველ საკონკურსო სასწავლო წელთან მიმართებაში, იწყებს განცხადებების მიღებას კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის (შემდგომში - კონკურსანტი).

2. კონკურსანტმა, მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს ან/და გადმოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: info@Batumi.ge შემდეგი დოკუმენტაცია:

- 2.1. **განცხადება** (ბრძანების დანართი 2) - შევსებული ქართულ ენაზე. ამასთან, ელექტრონულ მისამართზე გადმოგზავნის შემთხვევაში - დამოწმებული ელექტრონული ხელმოწერით (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა / ელექტრონული შტამპი) ან დასკანირებული (ხელმოწერილი);
- 2.2. **პასპორტის ან საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;**
- 2.3. **ფოტოსურათი** - 2 ცალი (ზომა - 3სმ. × 4სმ.);
- 2.4. **ცნობა/დოკუმენტი** - საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ (საჯარო რეესტრიდან) ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, რეესტრის ვებგვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით;

**2.5. ავტობიოგრაფია / CV** - ქართულ ენაზე (მ.შ. სამეცნიერო/კულტურულ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური და პროფესიული მიღწევები და სხვა მონაცემები);

**2.6. GPA** - მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ, სტუდენტის განვლილ საგნებში მიღებული შეფასებები და აკადემიური მოსწრების წლიური/საბოლოო მაჩვენებელი/ქულა, როგორც ორიგინალი (უცხო ენაზე), ასევე, ქართულ ენაზე (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);

**2.7. ცნობა/დოკუმენტი** - როგორც ორიგინალი (უცხო ენაზე), ასევე, ქართულ ენაზე (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);

✓ მიმღები უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მისანიჭებელი სპეციალობის (ზუსტი დასახელება - ძირითადი ან/და დამატებითი სპეციალობის) თაობაზე;

✓ მიმღები უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციის (ზუსტი დასახელების) თაობაზე;

**კომენტარი:** დასაშვებია, ერთ დოკუმენტში (არა ცალ-ცალკე) სპეციალობისა და კვალიფიკაციის (ზუსტი დასახელების) თაობაზე, ერთიანი ცნობის წარმოდგენა;

**2.8. სარეკომენდაციო წერილი** (მიმღები უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის) – მინიმუმ ერთი, ქართულ ენაზე (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);

**2.9. საბანკო რეკვიზიტი.**

3. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი - ორიგინალი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

4. მერია, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

5. სასურველია, კონკურსანტმა ზემოდასახელებულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინოს ვიდეო რგოლი (თავის წარდგენა. ხანგრძლივობა - ერთ წუთამდე. მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მონაცემები და მიღწეული წარმატებები (საუნივერსიტეტო, სამეცნიერო, სპორტული, კულტურული და ა.შ.). ასევე, ჰობი, მიზნები ან სხვა განსაკუთრებული მოვლენები), რომლის გამოყენების/გამოქვეყნების უფლებას ანიჭებს მერიას.

## **მუხლი 6. განცხადების მიღების ვადები**

განცხადებები მიიღება - 2021 - 2022 სასწავლო წლის დამთავრებისთანავე, ივლისის თვიდან - პირველ ოქტომბრამდე, პერიოდში.

## **მუხლი 7. კონკურსის ეტაპები**

1. პირველი ეტაპი - განაცხადების/დოკუმენტაციის შესწავლა.

2. მეორე ეტაპი - შედეგების დადგენა;

3. კონკურსანტის მიერ წარდგენილი განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) ეგზავნება სამსახურს, რომელიც დოკუმენტაციას, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადააწერს - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს (შემდგომში - ჯგუფი).

4. ჯგუფი:

4.1 უზრუნველყოფს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას, როგორც პრიორიტეტული, ასევე, სხვა სწავლის სფეროების მიხედვით, ცალ-ცალკე;

- 4.2 არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ამზადებს წერილს ან/და განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), კონკურსანტს აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 7 სამუშაო დღის ვადაში;
- 4.3 განაცხადი, განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის (არსებითი) გამოუსწორებლობის შემთხვევაში - არ განიხილება;
- 4.4 შემოსული განცხადებების შესწავლის პროცედურის გავლის შემდეგ, ახდენს 10 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტის გამოვლენას;
- 4.5 ამზადებს მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების თაობაზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერზე (შემდგომში - მერი) წარსადგენად.

## მუხლი 8. პრიორიტეტული მიმართულებები

1. პირველ რიგში, განიხილება, იმ კონკურსანტთა შედეგები, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე (ჩამონათვალი იხილეთ - ბრძანების დანართი 2 / აპლიკაციის ფორმა 3).

2. თუ ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტუდენტი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მაშინ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მოხდება სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო მიმართულებებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.

## მუხლი 9. გამარჯვებულის გამოვლენა

1. კონკურსში გამარჯვებულად სახელდება ის 10 სტუდენტი, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასების ქულა (**RS - Rate Score**).

2. შეფასების ქულა (**RS**) განისაზღვრება შემდეგნაირად: კონკურსანტის აკადემიური მოსწრების წლიური/საბოლოო მაჩვენებელი - **GPA** (ქულა), იყოფა მიმღები უმაღლესი სასწავლებლის სარეიტინგო/რიგით ნომერზე - **R** (ესპანეთის ეროვნული სამეცნიერო საბჭოს კიბერმეტრიკის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზის - მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგის მიხედვით: <https://webometrics.info/en/world>) და მიღებულ რიცხვს (დამრგვალების გარეშე) ემატება, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი **GPA** (ქულა). ფორმულის სახით: **RS = ( GPA : R ) + GPA**. ამასთან:

- 2.1 თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებელი არ იძებნება ზემოაღნიშნულ სარეიტინგო ცხრილში (კიბერმეტრიკის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზაში) - განაცხადი არ განიხილება;
- 2.2 ამ დებულებით, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების შეფასების (**GPA**) ერთიან შკალად (scala) / განზომილებად (შემდგომში - სკალა / **S**) გამოიყენება - 4.0 სკალა, მაგრამ თუ რომელიმე კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი **GPA** (ქულა) გამოთვლილია განსხვავებული შეფასების სკალის - **S<sup>1</sup>** მიხედვით, კერძოდ, თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებლის შეფასების სკალა - **S<sup>1</sup> > 4.0**-ზე (მეტია) ან ნაკლებია - **S<sup>1</sup> < 4.0**-ზე, მაშინ, პირველ რიგში უნდა მოხდეს, ამ კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის - **GPA** (ქულის) გამოთანაბრება - **GPA(E) / Grade Point Average (Equalization)** ერთიან სკალასთან - 4.0 მიმართებაში, შემდეგნაირად: ერთიანი სკალა - 4.0, იყოფა, მიმღები უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილი შეფასების სკალის (**S<sup>1</sup>**) უმაღლეს ქულაზე და მიღებული შედეგი (დამრგვალების გარეშე) მრავლდება,

კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე - **GPA** (ქულაზე), ფორმულის სახით:  $GPA(E) = (4 : S^1) \times GPA$ . შესაბამისად, ძირითად ფორმულაში, ნაცვლად **GPA**-სი უნდა ჩაისვას **GPA(E)**. ფორმულის სახით:  $RS = (GPA(E) : R) + GPA(E)$ ;

2.3 თუ პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტთა შეფასების ქულა (**RS**) კვლავ ერთნაირია, მაშინ სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე:

2.3.1 რომლის მიმღები სასწავლებლის სარეიტინგო/რიგითი ნომერი აღმატებულია;

2.3.2 თუ შეფასების ქულა (**RS**) კვლავ ერთნაირია - რომელსაც გააჩნია მეტი წარმატებები (სამეცნიერო / კულტურულ / სპორტულ და ა.შ. ღონისძიებებსა/პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური, პროფესიული და სხვა მიღწევები), რაც გულისხმობს თანაბარ ქულიანებს შორის, უპირატესობის მინიჭებას, მათ შორის საუკეთესოს გამოვლენას ან თანხის თანაბრად განაწილებას, ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მერის მიერ, ბრძანებით.

## მუხლი 10. შედეგების დამტკიცება.

1. კონკურსის შედეგების თაობაზე, დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მერის ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის წევრები.

2. მერის მოადგილე (კურატორი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსი, მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე, აქტის მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, წარუდგენს მერს.

3. მერი, მოხსენებით ბარათის წარდგენიდან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

4. კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიატების სია, ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

## მუხლი 11. სტიპენდიების გაცემის ვადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერის ბრძანების შესაბამისად და სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სტიპენდიის გაცემას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით).

## მუხლი 12. მონაცემთა ბაზა

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო შედეგების მქონე ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიანტების, ასევე, კონკურსის მონაწილე აპლიკანტების მონაცემები, შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებული სტუდენტების საერთო მონაცემთა ბაზაში (პერსონალური მონაცემების დაცვით / არსებული რეგულაციების მიხედვით), შემდგომში, მათი პოტენციური დასაქმების მიზნით, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.